585/1963/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 19 (216) 10 ივლისი 1963 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

9048

განყოფილება პირველი

304. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უგანდაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. თ. საფონოვის დანიშვნის შესახებ.

305. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ა. სილინის გათავისუფლების შესახებ.

306. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ნ. იაკუშინის დანიშვნის შესახებ.

307. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კუვეიტის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ფ. ჩერკასოვის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

308. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. სკულკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

309. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. თ. სუბოტინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

310. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ვალტერ ულბრიხტისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

311. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. გ. კუზმინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ი. ანტ-ლოვს რწმუნებების სიგელები გადასცა ტაილანდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პ. ჩონჩარენმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

312. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

313. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

314. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 132 მუხლისა და 151 მუხლის მეოთხე ნაწილისა და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

315. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

316. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

304 უგანდაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დ. თ. საფონოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დიმიტრი თეოდორეს ძე **საფონოვი** უგანდაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 15 ივნისი.
№ 1441-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

305 სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. ა. სილინის განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ ალექსანდრეს ძე **სილინი** სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 ივნისი.
№ 1477-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

306 სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. ნ. იაკუშინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე ნესტორის ძე **იაკუშინი** სუდანის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 ივნისი.
№ 1478-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

307 კუვეიტის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ფ. ჩერკასოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ ფროლის ძე **ჩერკასოვი** კუვეიტის სახელმწიფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 ივნისი.
№ 1479-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

308 ამხ. ი. პ. სკულკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იგორ პეტრესძე **სკულკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 ივნისი.
№ 1476-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

309 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. თ. სუბოტინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ასტრონომიის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ თევდორეს ძე **სუბოტინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 ივნისი.
№ 1481-VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

310 ამხანაგ ვალტერ ულბრიხტისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვალტერ **ულბრიხტს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 29 ივნისი.
№ 1482-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

311 ამხ. ნ. გ. კუზმინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი ნიკოლოზ გურის ძე **კუზმინი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 1 ივლისი.
№ 1483-VI.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ი. კოზლოვს რწმუნებების სიგელები გადასცა ტაილანდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პ. ჩონჩარენმა

ა. წ. 29 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. კოზლოვმა მიიღო ტაილანდის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პრამოტ ჩონჩარენი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ე. ლ. ბიჟაენდრაეტინი და მეორე მდივანი გ. ასტანანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი, ა. ს. ჩისტიაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა დ ბ მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ვ. ი. კოზლოვი ესაუბრა პ. ჩონჩარენს. საუბარში მონაწილეობდნენ მ. პ. გიორგაძე და ს. გ. ლაპინი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

312 „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე იურისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არა ნაკლებ 20 წლისა და მიუძღვით მნიშვნელოვანი დამსახურება.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას — ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი 27-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

313 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს მუხლი 9[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 9[1]. **მასალის გადაცემა საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე**

იმ შემთხვევაში თუ პირი ჩაიდენს მცირე მნიშვნელობის ან ისეთ დანაშაულს, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, როცა დანაშაულის ფაქტი სახეზეა, ხოლო ამ დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გამოსწორებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებით, სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს, პროკურორის თანხმობით, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე გადასცეს მასალა განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ანდა დამნაშავე გადასცეს თავდებობის ქვეშ მშრომელთა კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის“.

2. 191 მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ამ კოდექსის 189 მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად“.

3. 304 მუხლს დაემატოს მეოთხე ნაწილი შემდეგი რედაქციით: „განაჩენის დადგენისას საჭირო შემთხვევაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტს აგრეთვე საკითხს სამართალში მიცემულის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ“.

4. 318 მუხლის 2 პუნქტს დაემატოს სიტყვები: „ხოლო საჭირო შემთხვევაში სამართალში მიცემული პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ“. ამავე მუხლის 4 პუნქტში სიტყვების შემდეგ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 40 და 41 მუხლების შესაბამისად“ ჩაიწეროს სიტყვები: „შრომა-გასწორების კოლონიის სახე, რომელშიაც უნდა მოიხადოს სასჯელი პატიმარმა“.

5. 375 მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების შემდეგ „97 მ. ნაწ. II“ დაემატოს „105“.

6. 398 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების შემდეგ „შესაბამისი სასამართლოს პრეზიდიუმი“ ჩაიწეროს სიტყვები: „ან შესაბამისი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია“, ხოლო „394-397 მუხლების“ ნაცვლად ჩაიწეროს „388 მუხლი“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების შემდეგ „პრეზიდიუმი გამოიტანს დადგენილებას“ დაემატოს სიტყვები: „ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია — განჩინებას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

314 საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 132 მუხლისა და 151 მუხლის მეოთხე ნაწილისა და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 132 მუხლი და 151 მუხლის მეოთხე ნაწილი.

2. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში რევოლუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. და განკ. კრ. 1929 წელი, № 22, მუხ. 250).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ივნისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

315 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს:

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“

ხახიაშვილი მიხეილ გაბრიელის ძე — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

316 **სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქალაქ თბილისში 1963 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **სპენდიაროვის** სახელობის **ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 29 ივნისი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 28 მაისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით დააჯილდოვა 423 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	12
ქ. ბორჯომიდან	. . . . .	5
ქ. ტყიბულიდან	. . . . .	3
ქ. წყალტუბოდან	. . . . .	4
ახალქალაქის	რაიონიდან	35
გარდაბნის	„	100
გეგეჭკორის	„	20
გორის	„	31
გურჯაანის	„	21
დუშეთის	„	20
ზუგდიდის	„	21
თელავის	„	21
მახარაძის	„	21
მესტიის	„	18
სამტრედიის	„	24
სიღნაღის	„	6
ზნაურის	„	24
ჯავის	„	37